ავტობიოგრაფია

მე, გოჩა ჯეირანაშვილი დავიბადე 1977 წლის 29 ნოემბერს ქ. ახალციხეში, 1994 წელს დავამთავრე ახალციხის N5 საშუალო სკოლა. 1994-1996 წლებში ვსწავლობდი გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე, სამართალმცოდნეობის სპეციალიზაციით. 1996 წელს ჩავაბარე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც დავამთავრე 2002 წელს.

2002 წლის 28 აგვისტოდან, 2007 წლის 16 თებერვლამდე ვმუშაობდი შინაგან საქმეთა სამინისტროს ახალციხის რაიონულ განყოფილებასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარ სამმართველოში სხვადასხვა თანამდებობებზე.

2007 წლიდან 2009 წლის 13 მარტამდე ვმუშაობდი სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურაში საგამოძიებო ნაწილის უფროსი გამომძიებლის თანამდებობაზე.

2009 წლის 13 მარტიდან მოსამართლის უფლებამოსილებას ვანხორციელებდი ახალციხის რაიონულ სასამართლოში, 2018 წლის 18 იანვრიდან კი მოსამართლის უფლებამოსილებას ვანხორციელებ თბილისის სააპელაციო სასამართლოში.

2010 წლის ნოემბრიდან 2018 წლამდე პარალელურად ვეწეოდი პედაგოგიურ საქმიანობას სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სისხლის სამართლის პროცესისა და სამოქალაქო სამართლის პროცესის განხრით.

მყავს მეუღლე და სამი შვილი.

გოჩა ჯეირანაშვილი

28.05.2019 წ.